



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №117/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

სისხლის სამართლის საქმეზე, ადვოკატი ახორციელებს ბრალდებულის დაცვას. მოწმის დაკითხვის დროს, მოსამართლემ მას დაუსვა შეკითხვა, შემდეგი ფორმულირებით „როგორ, თქვენ მთელი დამის განმავლობაში იყავით ბრალდებულთან ერთად და როგორ არ დაგინახავთ ეს ტატუ მის სხეულზე?“ კითხვა ადვოკატმა გააპროტესტა და განმარტა, რომ მოსამართლეს არ აქვს დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის უფლება მხარეთა შეთანხმების გარეშე. მოსამართლემ, ადვოკატი გააფრთხილა, რომ მთელი პროცესის განმავლობაში ჩუმიად მჯდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დააჯარიმებდა. ადვოკატმა, არაერთგზის სცადა სიტუაციის გარკვევა, თუმცა, მოსამართლემ 100 ლარით დააჯარიმა და საბოლოოდ, დარბაზიდან გააძევა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), აპკ-ის 9.1 მუხლების შესაძლო დარღვევაზე. ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები და არ აქვს მნიშვნელობა ის მონაწილეობს საქართველოს თუ უცხო ქვეყნის სასამართლოსა თუ ტრიბუნალის წინაშე. ასევე, ადვოკატს ვალდებულებები აკისრია, არა მხოლოდ სასამართლოს არამედ, პროცესის მონაწილე სხვა პირების წინაშეც. ადვოკატს უფლება აქვს დაიცვას კლიენტის კანონიერი ინტერესები, მხოლოდ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა, კლიენტის დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური და არ გულისხმობს სხვათა უფლებების უგულებელყოფასა და იგნორირებას. ადვოკატი დარწმუნებულიც რომ იყოს მისი ქმედება შესაბამისია საპროცესო კანონმდებლობასთან, სასამართლო წესრიგის დარღვევა გამართლებული არ არის. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მხრიდან ადვოკატისთვის საუბრის აკრძალვა, წარმოადგენს დაცვის უფლების განხორციელების შეზღუდვას. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედება თანხვედრაში იყო დაცვის უფლების განხორციელების უპირატეს უფლებასთან. ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის დაცვის განხორციელება და არა სასამართლოს შეურაცხყოფა, ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე არ გაჟღერებული ისეთი ფრაზა, რომლის შინაარსიც იქნებოდა სასამართლო სისტემის შეურაცხმყოფელი.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა აპკით და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, კერძოდ, ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე არსებული ვალდებულებებით და გადაწყვიტა, რომ ადვოკატის ქმედება არ წარმოადგენდა აღნიშნულ ნორმათა დართლევას და არ აღძრა დევნა ადვოკატის წინააღმდეგ.

¹ <https://gba.ge/pdf/5d2ef6cb69ccb.pdf/117-18%20%20%20%2006.11.18%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf>